15, 16 და 17 ნოემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) – „დინამო“ (თბილისი) 1:3 (0:3)

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 16 ნოემბერი.

„ცერნომორეცი“: გრიშკო, ჟარკოვი, სმოტრიჩი, გაიდარჟი, პლოსკინა, ფსომიადი (საველიევი), ნაკონეჩნი (ზირჩენკო), ფინკი, სეკინაევი, იურჩენკო, პერეპადენკო.

„დინამო“: ბალაძე, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია, გურული (მახარაძე), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე (ჯოხაძე), ცაავა, ჩელებაძე, რევიშვილი.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გააფრთხილეს: ზირჩენკო.

დუბლიორები - 0:2.

ამ მატჩისთვის ოდესელ ფეხბურთელთა საკითხი გადაწყვეტილი იყო: „ჩერნომორეცმა“ უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და დაბლა ლიგაში ჩამოქვეითდა. თბილისის დინამოელებს კი ჯერ კიდევ აქვთ საშუალება იბრძოლონ უმაღლეს ლიგაში უკეთესი ადგილის დასაკავებლად. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ბრძოლის სიმძაფრე, კერძოდ, დინამოელებმა მსაჯის პირველივე სასტვენიდან შეუტიეს მეტოქეს. დიდი მონდომებით ითამაშეს და უკვე მე-3 წუთზე ანგარიში გახსნა ცაავამ - 1:0. ზუსტად 3 წუთის შემდეგ თბილისელთა ახალ შეტევას მეორე გოლი მოჰყვა. იგი ჩელებაძემ გაიტანა. ტაიმის დასასრულს კი კაკილაშვილმა კიდევ ერთხელ აიძულა გრიშკო ბადიდან გამოეტანა ბურთი.

3:0 პირველ ტაიმში - გამარჯვების საკმარისი გარანტია იყო, ამიტომ დინამოელებმა შესვენების შემდეგ ოდნავ მოუკლეს ტემპს. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, იყო ფინკის მიერ გატანილი საპასუხო გოლი - 1:3

ლელო 18.11.1986